

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის მანონი ახვლედიანის

2019 წელს გაწეული სამუშაოს

ანგარიში

ღვირიშის თემის სოფლებში რთული სოციალურ-ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული მდგომარეობაა. ხშირად ვაყენებდი საკრებულოს სხდომაზე ამ პრობლემურ საკითხებს და ვცდილობდი მათი გადაჭრის გზების ძებნას.

2019 წელს ღვირიშის თემის ყველა სოფელში სრულად შესრულდა სოფლის პროგრამებით განსახორციელებელი პროექტები. კაპიტალურად გარემონტდა სოფელ ღვირიშის ამბულატორია, ნაწილობრივ მოგვარდა გარე განათების საკითხი. სოფელ ნასპერში გარემონტდა სოფლის კლუბის შენობა.

სისტემატურად ვხვდებოდი მოსახლეობას, ხშირად ვაყენებდი საკრებულოსა და მერიის წინაშე მოსახლეობის პრობლემებს, რაზედაც არსებობს შესაბამისი ოქმები. მონაწილეობას ვღებულობდი საკრებულოს, საკრებულოს სოციალური კომისიის და ფრაქციის სხდომებში.